განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება“

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: ქეთევან ებრალიძე

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: სოფიო ჭუმბურიძე

კვების დარგში ექსპერტი: ანი თეგეთაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ნანა ბურჯანაძე

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 238772949 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი |
| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |

| | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სამტრედია, რესპუბლიკის ქ. 6 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევი |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | 2025 წლის 26 ივნისის   N MES 3 25 0000754258 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 2025 წლის 28-29 ივლისი |

**5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული *"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და* |

| ***შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **N** | **პროგრამის სახე**[1] | **კურიკულუმ(ებ)ის დასახელება** | **პროგრამის განხორციელების ენა** | **პროგრამის განხორციელების მიდგომა** *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | **თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** |
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"; <br><br> სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" | ქართული | | 60 <br><br> ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ <br> არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

ნაბაკევის ბაგა-ბაღში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28-29 ივლისს, ,,დაგეგმილი საავტორიზაციო ვიზიტის დღის წესრიგის" შესაბამისად. ადგილზე დოკუმენტაციის შესწავლის, ინფრატრუქტურის და შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერებასთან ერთად, ინტერვიუს ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ სტატუსის მაძიებლის შემდეგ პერსონალს: დაწესებულების ხელმძღვანელი, ბაგა-ბაღის მმართველი,

[1] აისახოს მხოლოდის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებითშესაძლებელია დაემატოს ველები.

საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდისტ/კოორდინატორი, სასწავლო-საგანმნათლებლო პროცესების და მეთოდური დარგის კოორდინატორი, ფინანსისტი, იურისტი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აღმზრდელები და სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ექთანი, მზარეული.

თოთოეული ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს არსებული სიტუაცია და განახორციელეს მისი ანალიზი.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების მონაცემებს, ზოგიერთ შემთხვევაში არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი, კერძოდ, ,,დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება“ სტატუსის მაძიებელს შეფასებული აქვს სრული შესაბამისობით, ხოლო ექსპერტების მიერ იგი შეფასდა ,,შეუსაბამოდ“. რაც შეეხება მეორე სტანდარტს ,,კურიკულუმს“, ექსპერთა ჯგუფი დაეთანხმა სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ შეფასებას - ,,მეტწილ შესაბამისობას“. მესამე სტანდარტი ,,ოჯახისა და თემის ჩართულობა“, სტატუსის მაძიებელს ,,სრული შესაბამისობით“ აქვს შეფასებული, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფსაც ,,შეესაბამება“ შეფასება აქვს წარმოდგენილი. ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტი ,,სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა“ დაწესებულების მიერ შეფასებულია ,, ნაწილობრივი შესაბამისობით“, ექსპერტთა ჯგუფმა კი ,,შეუსაბამოდ“ მიიჩნია.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*(სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა)*<br>*(ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში")* |
|---|

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| **2. კურიკულუმი** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს **2025 წლის 19 მარტის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62250784 ბრძანება, რომლის 1-ლი პუნქტით დამტკიცებულია დანართი N1 ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერიანების მისია, ხედვა და ღირებულებები".**
მისია შემდეგნაირად ჟღერს: ,,გაერთიანების მისიაა - შევქმნათ ბავშვებისათვის უსაფრთხო და კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის უნარების გამოვლენა - განვითარებას. გავაღვივოთ ცნობისმოყვარეობა, მხიარული აღმოჩენით ურთიერთობის განვითარებით და შემოქმედებით უნარების გაძლიერების გზით. შევქმნათ პოზიტიური და მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, სადაც ბავშვები განვითარდებიან ასაკის შესაბამისად".
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მისიაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხი გამოკვეთილია. ასევე წარმოჩენილია, დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე. მისია შინაარსობრივად გასაგები და მოტივაციის მომცემია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**2025 წლის 19 მარტის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62250784 ბრძანების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული N1 დანართით**, სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები.
ზემოაღნიშნული დოკუმენტის თანახმად: ,,დაწესებულების ხედვა ეფუძვნება მისიას და ითვალისწინებს ბაგა-ბაღის ყველა აღსაზრდელისათვის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობას. აღმოვაჩინოთ ნიჭი და უნარები, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას კვლევა -აღმოჩენის გზით. დავგეგმოთ ინკლუზიური განათლების პრინციპები. ინტერნეტ სივრცის განვითარების გზით გავზარდოთ მშობლებთან და თემთან კავშირი და მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. ხედვის მოტივაციაა - ,,შევქმნათ გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი".
დაწესებულების ღირებულებებია: ,,სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, თითოეული ბავშვის მიმართ პატივისცემის გამოხატვა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნა. საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა ეფუძვნება სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითად საფუძვლებს: თამაშს, ჯგუფის ერთობას, აზროვნებას, შესაბამისობას და კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს იმ მეთოდურ ლიტერატურას, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სასწავლო-სააღმრდელო პროცესი".
დაწესებულების ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, რადგან იგი ეხმიანება და მოწოდებულია ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცის შექმნისკენ. დაწესებულების მისიაში გათვალისწინებულ გარემოებას - ,,პოზიტიური და მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც ბავშვები განვითარდებიან ასაკის შესაბამისად", დაწესებულების ხედვაში ეხმიანება შემდეგი ჩანაწერი: ,,დავგეგმოთ ინკლუზიური განათლების პრინციპები. ინტერნეტ სივრცის განვითარების გზით გავზარდოთ მშობლებთან და თემთან კავშირი და მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში".
რაც შეეხება, 2025 წლის 19 მარტის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62250784 ბრძანების 1-ლი პუნქტით დამტკიცებულ, N1 დანართით წარმოდგენილ დაწესებულების ღირებულებებს, იგი გამომდინარეობს მისიიდან, რადგან ,,სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, თითოეული ბავშვის მიმართ პატივისცემის გამოხატვა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნა" სწორედ ხელს შეუწყობს ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცის ჩამოყალიბებას, სადაც ბავშვები განვითარდებიან ასაკის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებელმა გაითვალისწინოს, რომ ღირებულებები არის ის კონკრეტული პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც მოქმედებს დაწესებულება. ღირებულებები ინფორმაციას აწვდის თანამშრომლებს დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის შესახებ, შესაბამისად, სასურველია ღირებულებების დოკუმენტში დამატებით აისახოს ინფორმაცია იმ პრინციპების თაობაზე, რომელთა დაცვითაც უნდა იმუშაონ მათ. ხოლო ზოგადი ფორმულირება მაგალითად, როგორიცაა: ,,განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შევიმუშავებთ ახალ რეკომენდაციებს პროცესის გაუმჯობესების მიზნით, აღმოვფხვრით ხარვეზებს და დავგეგმავთ ახალ საჭიროებებს" - უმჯობესია ჩანაცვლდეს კონკრეტული პრინციპების მითითებით (მაგალითად: პოზიტიური გარემოს ფორმირება, პროფესიონალიზმი და ა.შ.), რომელთა დაცვითაც დაწესებულება განახორციელებს თავის საქმიანობას. დამატებით კონკრეტული პრინციპების ღირებულელებში ასახვისას გასათვალისწინებელია დაწესებულების მიერ შემუშავებული მისია, რადგან ღირებულებები უნდა განისაზღვროს დაწესებულების მისიიდან გამომდინარე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია **2025 წლის 18 მარტის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ბაგა-ბაღების ავტორიზაციისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის**

**დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების” დირექტორის N ბ.25.62250775 ბრძანებასა** და **ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 30 აპრილის სხდომის N1 ოქმში.**

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტში, კერძოდ, **,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ბაგა-ბაღების ავტორიზაციისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ 2025 წლის 18 მარტის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ.25.62250775 ბრძანების** შინაარსით ვერ ხდება იდენტიფიცირება და წარმოდგენილი არ არის დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი (წარმოდგენილია სახელობითი სია, თუმცა მითითებული არ არის მათი თანამდებობის დასახელება და ვერ ხდება იდენტიფიცირება თუ რომელი მათგანი რომელ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს, მაგალითად: მშობელი, საკონსულტაციო საბჭო და ა.შ.). შესაბამისად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტით ვერ ვადასტურებთ, რომელი დაინტერესებული მხარის ჩართულობით მოხდა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება.

რაც შეეხება, **ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ სამუშაო ჯგუფის, 2025 წლის 30 აპრილის სხდომის N1 ოქმს,** აღნიშნული დოკუმენტით ვერ დასტურდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რადგან სხდომის ოქმში არ არის წარმოდგენილი ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათი მსჯელობა და ასევე არ არის წამოდგენილი სხდომაზე დამსწრე პირთა ხელმოწერები (ოქმის ხელმოწერის ველზე მითითებულია მხოლოდ 4 სამუშაო ჯგუფის წევრის სახელი და გვარი, ხელმოწერის გარეშე). **2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების” დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“** მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად: ,,სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი“, ხოლო ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახამდ: ,,სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით“. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ სამუშაო ჯგუფის, 2025 წლის 30 აპრილის სხდომის N1 ოქმით არ ფიქსირდება, რომ შემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების შესაბამისად მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

**სტატუსის მაძიებელმა დააკორექტიროს დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტები: ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ბაგა-ბაღების ავტორიზაციისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ 2025 წლის 18 მარტის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების” დირექტორის N ბ.25.62250775 ბრძანება და ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 30 აპრილის სხდომის N1 ოქმი იმგვარად, რომ თანხვედრაში იყოს ინდიკატორის მოთხოვნასთან - ,,მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით“.**

რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებელმა გაითვალისწინოს, რომ სხდომის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია აისახოს თითოეული დაინტერესებული მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს მათი პროცესში ჩართულობის დადასტურებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,შევადგენთ სამუშაო ჯგუფს, სადაც იქნება დაინტერესებული მხარის ჩამონათვალი (ჯგუფის წევრები, მშობლები და საკონსულტაციოსაბჭო. თანამდებობის დასახელებით. ოქმში ჩაიწერება სამუშაო ჯგუფის წევრების დასწრება ხელმოწერით, მოსაზრებებით და მსჯელობებით“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ წარმოუდგენია მტკივებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან.

მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება სოფელ ნაბაკევის ბაგა-ბაღის ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ამობეჭდილი განაცხადების განთავსებით.

იქედან გამომდინარე, რომ ვერ დადასტურდა მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან,

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინოს მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,ნაბაკევის ბაგა-ბაღის შენობაში წარვადგენთ და გავუზიარებთ მტკიცებულებებს - მისიას ხედვას და ღირებულებებს დაინტერესებულ მხარეებთან. ხელმისაწვდომი იქნება განცხადების განთავსებით თვალსაჩინო ადგილზე“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2025 წლის 19 მარტის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62250784 ბრძანების დანართი N1 - ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერიანების მისია, ხედვა და ღირებულებები".
2.,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში ბაგა-ბაღების ავტორიზაციისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" 2025 წლის 18 მარტის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ.25.62250775 ბრძანება.

3. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების" სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 30 აპრილის სხდომის N1 ოქმი.

4. ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" 2025 წლის 30 აპრილის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანება.

5. სოფელ ნაბაკევის საბავშვო ბაღის შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე მისია, ხედვა და ღირებულებების განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია **2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანებით.** აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენლია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას. 2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის" მე-14 მუხლის თანახმად: ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2.5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში 6 თვეში ერთხელ, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფი ამუშავებს წარმოდგენილ ინფორმაციას და ამზადებს ანგარიშის დოკუმენტს".

2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის" მე-15 მუხლის თანახმად:,,მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ. საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედი გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით".

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები, კერძოდ: ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები, ბაღების წარმოამდგენლები, მშებელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ხოლო მათი ჩართულობის გზად მითითებულია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ფორმირდება ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა- ბაღები) გაერთიანების (ს/ნ 238772949) ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, დირექტორის ბრძანებით.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებელმა  გაითვალისწინოს: 2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანების დანართის სათაურის დეფინიცია ჩამოაყალიბოს შემდეგნაირად: ,,ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ".

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია **2025 წლის 22 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62251125 ბრძანებით.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, თუმცა იგი მოიცავს 2023-2027 სასწავლო წლის პერიოდს. ანუ 2025 წელს გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებივი აქტით დამტკიცებულია, 2023 წლიდან - მომდევნო ხუთი წლიანი პერიოდის სტრატეგიული გეგმა, მაშინ როდესაც დაწესებულების მიერ, 2025 წელს გეგმის შემუშავება უნდა ითვალისწინებდეს მიმდინარე წლის და შემდგომი წლების გეგმას. შესაბამისად ვერ დასტურდება, რომ  სტარტეგიული გეგმა არის ციკლური.

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ არის შესაბამისობაში მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და  არ მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმით ვერ ხდება სტრატეგიული მიზნების იდენტიფიცირება. 2025 წლის 22 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62251125 ბრძანებით დამტკიცებულ სტრატეგიული გეგმის  მე-5 პუნქტში გაწერილია: ,,სტრატეგიული მიმართულებები და კონკრეტული ღონისძიებები 2022-2027", რომლის ქვეპუნქტებიც  თავის შინაარსით დაწესებულების მისაღწევ სტრატეგიულ მიზნებს შეიძლება წარმაოდგენდეს. თუმცა იმის გამო რომ ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ მიმართულებებს არ გააჩნია მიზნის მისაღწევად განსაზღვრული სტრატეგიული  ამოცანები და შესაბამისი ვადები, რთულია ერთმნიშვნელოვნად მათი სტარატეგიულ მიზნებად მიჩნევა. როგორც აღვნიშნეთ,

გარდა მიზნებისა, დოკუმენტში არ არის ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად საჭირო სტარტეგიული ამოცანებიც, შესაბამისად არ არის განსაზრვრული მათი განხორციელების ვადებიც.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ დააკორექტიროს სტრატეგიული გეგმა იმგვარად, რომ თანხვედრაში იყოს ინდიკატორის მოთხოვნებთან: სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

რჩევა
სასურველია სტატუსის მაძიებელმა გაითვალისწინოს, რომ სტრატეგიული მიზნების რაოდენობის განსაზღვრაში იგი თავისუფალია, თუმცა იქედან გამომდინარე რომ სტრატეგიული მიზანი თავისი არსით არის მსხვილმასშტაბიანი და მიმართულია კომპლექსური გამოწვევების გადაჭრაზე, რეკომენდებულია შემუშავებული იყოს 3-7 მიზანი. რაც შეეხება ამოცანას, იგი შესაბამისობაში უნდა იყოს მიზანთან და უზრუნველყოფდეს მის მიღწევას. შეიძლება ერთ სტრატეგიულ მიზანს გააჩნდეს რამდენიმე ამოცანა (დაწესებულება არ არის შეზღუდული ამოცანების რაოდენობაში)
ასევე დაწესებულებას შეუძლია მიზნის მიღწევის ვადები დამოუკიდებლად განსაზღვროს, ზოგიერთი მიზნის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე წელი, ხოლო ზოგი შესაძლოა 5 წლიან პერიოდზე გაიწეროს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,დაწესებულება დააკორექტირებს სტრატეგიული გეგმას იმგვარად, რომ თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნებთან: სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი არ აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან:,,სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას".

### რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებელმა გაითვალისიწინოს, რომ სამოქმედო გეგმა ერთწლიანია და ბევრად უფრო კონკრეტული ვიდრე სტრატეგიული გეგმა. დაწესებულება უნდა ამოვიდეს მისი შედგენისას სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან. ასევე გეგმა უნდა ეფუძნებოდეს დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,, დაწესებულება შეიმუშავებს 1 წლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან:,,სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას".

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი არ აქვს სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან:,,სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია"

### რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,წარმოვადგენთ სამოქმედო გეგმას, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან: ,,სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია".

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია **2025 წლის 22 აპრილს, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62251125 ბრძანებით. 2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანებით დამტკიცებული დანართის ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის"** მე-13 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ სტარტეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ,,დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს 6 თვეში ერთხელ, ხოლო შეფასებას წლიურად".
იქედან გამომდინარე, რომ ჯერ არ დამდგარა სტატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის/ შეფასების პერიოდი, ხოლო დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისი პროცედურები, იგი შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**2025 წლის 30 აპრილის, ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანებით დამტკიცებული დანართის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის"** მე-15 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შეფასების ანგარიშები: საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება ბაღის Facebook გვერდზე. ანგარიშების გაზიარებისთვის, ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები. ეს არხები გახლავთ: ელექტორნული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" 2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 6225120001 ბრძანება.**

**2. 2025 წლის 22 აპრილის ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" დირექტორის N ბ25. 62251125 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა.**

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში"

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმებით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში", რომელიც დამტკიცებულია სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის 06.06. 2025 წლის N ბ25. 6225157001 ბრძანებით. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმძღვანელოები: ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში" ნაწილი პირველი მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და ნაწილი მეორე პრაქტიკული სახელმძღვანელო /სცენარები 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში" აღმზრდელის

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის" ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

სახელმძღვანელო; სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში'' აქტივობათა კრებული -პირველი და მეორე ნაწილი. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N-2 (19.02.2025წ), რომელიც ადასტურებს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნას. ასევე წარმოდგენილი იყო სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის 25.04. 2025 წლის N ბ25. 6225115001 ბრძანება, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად ,,სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმი ,,თამაშის" განხორციელების შესახებ,'' აღნიშნული ბრძანების შინაარსში ნათქვამია, რომ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ მოხდა არსებული კურიკულუმების გაცნობა და შერჩევა, ამავე ბრძანებით მტკიცდება შერჩეული კურიკულუმის ჩარჩო შაბლონი. კურიკულუმის შერჩევის ეტაპებს არეგულირებს სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის 05.05. 2025 წლის N ბ25. 6225125001 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს შემდეგს: ,,კურიკულუმის შერჩევის განხორციელებისათვის ცენტრის მმართველის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი'', თუმცა დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, მათი მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების მასალები. სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის 05.05. 2025 წლის N ბ25. 6225125001 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად. მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტის ფარგლებში დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერის გრაფაში იკითხება ,,დამტკიცებული კურიკულუმი შედგება 2 სახელმძღვანელოსაგან: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის გვაქვს გაზიარებული და არა დანერგილი"-შესაბამისად ამისა არსებობს სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის 03.07. 2025 წლის N ბ25. 6225184001 ბრძანება ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაშის'' მიმართულებით ტრენინგის ჩატარების შესახებ. ბრძანების მიხედვით ტრენინგი გაიარა დაწესებულების ერთმა აღმზრდელმა. სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის განმარტებით აღნიშნული მიმართულების ტრენინგების ჩატარება გაგრძელდება პერიოდულად და ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაშის'' მიმართულებით გადამზადდება ყველა საგანმანათლებლო პერსონალი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის მეტწილად დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

რეკომენდებულია, კურიკულუმის შერჩევისას გაითვალისწინებულ იქნას შესაბამის მეთოდოლოგიაში მომზადებული პერსონალის არსებობა. ასევე გათვალისწინებულ იქნას, სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის 05.05. 2025 წლის N ბ25. 6225125001 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესის '' შესაბამისად, დამტკიცდეს ,,კურიკულუმის შერჩევის მუშა ჯგუფი''.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: დაწესებულება დაამტკიცებს "კურიკულუმის შერჩევის მუშა ჯგუფს", კურიკულუმის მიმართულებით გადაამზადებს ყველა საგანმანათლებლო პერსონალს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს გაცემული რეკომენდაციების სრულად შესრულებას, აქედან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

...............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,, სტატუსის მაძიებელმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პერსონალთან ხელშეკრულებების გაფორმება, რომელიც მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალს“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 30 აპრილის ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25.62251204 ბრძანების** დანართის, შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად:,,თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი”, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად:,,გაერთიანებაში ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შესაძლებელია გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის პირობები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით”. აქედან გამომდინარე სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული არ აქვს პერსონალის შერჩევის და დანიშვნის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას. შინაგანაწესში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ჩანაწერი ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შერჩევის/დანიშვნის პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა შეიმუშაოს დოკუმენტი/წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნებთან: ,,პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით”.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაზაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,შევიმუშავებთ დოკუმენტს , რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნებთან: ,,პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურებისას ვუზრუნველყოფთ პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით”.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის გეგმა.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

### რჩევა

სტატუსი მაძიებელმა სასურველია გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული პროცესის შესრულების მტკიცებულებად, შესაძლებელია წარმოადგინოს მის მიერ შერჩეული/ შემუშავებული მექანიზმი, თუ როგორ ახდენს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში. ამ ტიპის მექანიზმში ასახული უნდა იყოს პირი/პირები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ინტეგრაციის პროცესში. მაგალითად დაწესებულებას შეუძლია შეადგინოს და დაამტკიცოს სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის/ინტეგრაციის გეგმა და შეფასების ფორმა.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: „წარმოვადგენთ დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის შესახებ.
თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით საქმიანობის განხორციელების შეფასება, შესაძლებელი იქნება პრაქტიკის შესწავლის შემდეგ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტი რომლითაც დადასტურდება ინდიკატორის - **,,დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს"** მოთხოვნებთან შესაბამისობა.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,შევიმუშავებთ დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება ინდიკატორის - ,,დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს" მოთხოვნებთან შესაბამისობაში".

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება თუ როგორ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას.

### რჩევა

სტატუსის მაძიებელმა სასურველია გაითვალისწინოს: თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მექანიზმი სასურველია გაიწეროს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ან შინაგანაწესში. შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: გასაუბრებით, გამოკითხვის მეშვეობით, დაკვირვებით, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებით და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მექანიზმი იყოს გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. შეფასების წესი და კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი პერსონალისთვის. მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს შეფასების სახე. შეფასების პერიოდი, შემფასებლები და სხვა. რაც შეეხება პროფესიული განვითარების საჭიროებათა კველევას, კვლევის შედეგების საფუძველზე დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პერსონალის განვითარების გეგმა.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,წარმოვადგენთ დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება რომ იგი განახორციელებს პერსონალის განვითარებას შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან :,,პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით".

რჩევა
სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ პროფესიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ბიუჯეტით. დამსაქმებლის ინიციატივით თანამშრომლის გადამზადების, სწავლების დრო ითვლება სამუშაო დროდ და ანაზღაურდება დაწესებულების მიერ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,შევიმუშავებთ დოკუმენტს რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან :,,პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით"".

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება, რომ ხელს შეუწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშრირებულ ინიციატივებს და მათი განვითარდება განხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან,,დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს''.

რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებელმა გაითვალისწინოს, რომ მიზანშეწონილია პერსონალის მარვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მიღების და მათი მხარდაჭერის მექანიზმი, არსებული ბიუჯეტის და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,შევიმუშავებთ დოკუმენტს, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან ,,დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.''

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **,,ორგანოგრამის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 1-ლი აპრილის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების” დირექტორის N ბ25. 62250917 ბრძანება.**

2. ,,ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების ადმინისტრაციის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 25 ივლისის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 62252062 ბრძანება.
3. ,,ს/ბაღის პერსონალის მართვის მარეგულირებელი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 07 აპრილის ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25.62250972 ბრძანება.
4. ,,ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ” 2017 წლის 28 სექტემბრის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 25 დადგენილება.
5. ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატები.
6. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 30 აპრილის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25.62251204 ბრძანება.
7. საქართველოს კანონი ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ”.
8. საქართველოს შრომის კოდექსი.
9. საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება - ფოტოსურათი.
10. პერსონალის პირადი საქმეები.
11. დანიშვნის ბრძანებები.

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფასება: | | | |
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

## 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი არ აქვს დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან: დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: „შევიმუშავებთ დოკუმენტს, რომელიც თანხვედრაში იქნება ინდიკატორის მოთხოვნასთან: დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები.“

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ წარმოუდგენია მტკიცებულება/დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რომ ორგანიზაციაში პროცესების მართვა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ ორგანიზაციაში პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,წარმოვადგენთ მტკიცებულებას, რომლითაც დადასტურდება, რომ ორგანიზაციაში პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად".

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი და დამტკიცებული აქვს ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია **2025 წლის 18 მარტის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 62250733 ბრძანებით.** აღნიშნული წესის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურების მიღების მსურველთა რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონული ფორმით, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ელექტორნულ მისამართზე". მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მიმდინარე პერიოდში ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესი ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად, სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი არ არის. ინტერვიუს დროს მოგვეწოდა ინფორმაცია, რომ მომავალში იგეგმება ელექტრონული ფორმით ბავშვების რეგისტრაცია, თუმცა კონკრეტული დრო არ დაზუსტებულა.

**,,ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" 2025 წლის 18 მარტის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 62250733 ბრძანების** დანართის მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის შინაარსი

ბუნდოვანია და ვერ ასაბუთებს ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობის გაზრდის საფუძვლებს, მაშინ როდესაც საქარველოს კანონით ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ დადგენილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღსაზრდელთა მაქსიმალური ოდენობები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რომლოითაც დადასტურდება რომ დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

რჩევა
დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში:,,წარმოავადგენთ შესაბამის მტკიცებულებას, რომლოითაც დადასტურდება რომ დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
**,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 30 აპრილის, ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25.62251204 ბრძანებით,** სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს პირადი საქმეების წარმოების წესი, რომელიც არეგულირებს პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას. რაც შეეხება ბავშვთა პირადი საქმეების წარმოებას, იგი ცალკე მუხლით არ რეგულირდება. პირადი საქმის შემადგენელი

დოკუმენტაციის ნაწილობრივი ჩამონათავალი გაწერილია 22-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც ეხება აღსაზრდელის ბაღში მიღებისას წარსადგენ დოკუმენტების ჩამონათვალს.
დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული ცნობების განახლების პერიოდულობა. ასევე არ ჰყავს  პირადი საქმის შენახვაზე პასუხისმგებელი პირი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეების დადგენილი წესის შესაბამისად წარმოება.

რჩევა
სასურველია სტატუსის მაძიებელმა გაითვალისწინოს, რომ პერსონალის მათ შორის დირექტორის პირადი საქმე უნდა ინახებოდეს დაწესებულებაში. თუ დაწესებულება მომსახურების მიწოდებას ახორციელებს რამდენიმე მისამართზე, მაშინ პერსონალის მათ შორის დირექტორის პირადი საქმის დუბლიკატები ასევე შესალებელია ინახებოდეს ამ მისამართებზეც.ბავშვების პირადი საქმეები უნდა ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ფაქტობრივ მისამართზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის  შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში:,,ვუზრუნველყოფთ ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეების დადგენილი წესის შესაბამისად წარმოებას“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2025 წლის 18 მარტის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 62250733 ბრძანება.
2. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 30 აპრილის, ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25.62251204 ბრძანება.
2. პერსონალის პირადი საქმეები.
3. ბავშვების პირადი საქმეები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს ნაზაკევის ბაგა-ბაღში აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილი სივრცე (სამედიცინო კაბინეტი). იგი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.
სტატუსის მაძიებელს **2025 წლის 29 მაისის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით** წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია, რომლის თანახმად 12 თვის განმავლობაში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის სამსახურთან ხელშეკრულების დადებას (სახანძრო, ტექნიკური და უსაფრთხოების შემოწმების და გამოკვლევის მიზნით) და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმის წარმოდგენას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა
სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა გულისხმობს დაწესებულების მიერ საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებას, რომელიც უნდა შეთანხმდეს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცდეს დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აღწერილი აქვს მის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. აღწერა წარმოებულია ნაზაკევის ბაგა-ბაღის მმართველის მიერ. მცენარეთა აღწერის დოკუმენტში ორი სახეობის მცენარეზე (პალმა, ალვის ხე) მონიშნულია, რომ ხეს აქვს გამხმარი ტოტები, თუმცა არ არის დაფიქსირებული რომ ისინი საფრთხის შემცველი მცენარეებია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებლის მიერ გადამოწმდეს მცენარეთა აღწერის დოკუმენტში წარმოდგენილი მცენარეები და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს გაუვნებელყოფის ღონისძიების გატარება, რაც აისახება შესაბამის დოკუმენტში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე), რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:,,ბაღის დახალება, მშობლის სახელი და გვარი, ბავშვის სახელი და გვარი, გსრუთ თუ არა რომ თქვენმა შვილმა მონაწილეობა მიიღოს ექსკურსიებში? კი- არა; გსურთ თუ არა თქვენს შვილს გადაუღონ ფოტო/ვიდეო ამ ფოტოების/ვიდოების ბაღის საიტზე, ბლოგზე ან სხვა ონლაინ თუ ბეჭდურ მედიაში ან საგანმანათლებლო რესურსში, კვლევით ნაშრომში გამოქვეყნების მიზნით? კი- არა. მშობლის ხელმოწერა“.

**,,საბავშვო ბაღებში ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ“ 2025 წლის 7 აპრილის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 62250973 ბრძანების დანართი** ითვალისწინებს ბავშვის უსაფრთხოების წესებს, თუმცა ის მოიცავს საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმებს. რაც შეეხება დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანისას მის უსაფრთხოებას, სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი არ აქვს დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სტატუსისა მაძიებელმა შეიმუშაოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,შევიმუშავებთ კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესებს“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის გარემო პროგნოზირებადია ბავშისთვის. მათ საშუალება აქვთ გაეცნონ დღის განრგის, რადგან თითოეული ჯგუფის ოთახში თავლსაჩინო ადგილზე გამოკრულია, დასურათებული დღის განრიგი. დღის განრიგი იმგვარად არის შედგენილი, რომ ბავშვებს აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია, დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რითიც დასტურდება რომ პერსონალი (ყველა) იცნობს ბავშვის უფლებებს.

რაც შეეხება სტატუსის მაძიებლის პერსონალის მიერ (ყველა) საქმიანობის წარმართვის პროცესში ბავშვის უფლებების დაცვას, აღნიშნული საკითხის შესწავლა პრაქტიკის შესწავლას გულისხმობს, რაც ვიზიტის ფარგლებში არ განხორციელებულა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს.

### რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში: ,,წარმოვადგენთ მტკიცებულებას, რომლითაც დადასტურდება, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს".

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი დოკუმენტი - **,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამტრედიის სკოლამდელი და სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“** 2025 წლის 27 მარტის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 6225086001 ბრძანება, რომლის დანართში გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. რაც შეეხება ინდიკატორის მეორე მოთხოვნას, სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული არ ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა წამრმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება რომ ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი იდენტიფიცირებული.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია რეფერირებაზე პასუხისგმებელი პირი ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით საკმარის ცოდნას და კომპეტენციას ფლობდეს. პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება/ გადამზადება გავლილი, რაც დადასტურდება გაცემული ცნობით, სერტიფიკატით ან სხვა დოკუმენტით. იგი ერთის მხრივ რეკომენდაციას უნდა აძლევდეს და კონსულტაციებს უწევდეს თანამშრომლებს, ხოლო მეორე მხრივ თვალყურს ადევნებდეს რამდენად უზრუნველყოფილია ბავშვთა უსაფრთხოება დაწესებულებაში.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში:,, წარმოვადგენთ დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება რომ გვყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი იდენტიფიცირებული“.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელის მიერ ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელების დადასტურება შესაძლებელია პრაქტიკის შესწავლით, რაც არ ხორციელდება.

**შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს კარგი პრაქტიკა და ეფექტური მექანიზმები ბავშვების ბაღთან შეგუებასთან დაკავშირებით (მათ შორის წინასწარ საორიენტაციო შეხვედრები მშობლებთან, გარემოს შესაბამისად მოწყობა, ბავშვთან ურთიერთობა შესაბამისი თამაშის ელემენტებით).

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვა. სტატუსის მაძიებელი იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება ინტერვიუს დროს თანამშრომელთა მიერ პერსონალური მონაცემების და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურების თაობაზე ინფორმაციის ქონით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* 2025 წლის 29 მაისის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2. მცენარეთა აღწერის დოკუმენტი.

3.მშობლის წერილობითი ნებართვა (ფოტოსურათი).

4.,,საბავშვო ბაღებში ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ“ 2025 წლის 7 აპრილის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 62250973 ბრძანება.

5.დასურათებული დღის განრიგი (ფოტოსურათი).

6.,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამტრედიის სკოლამდელი და სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 27 მარტის, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ25. 6225086001 ბრძანება.

| შეფასება: |
| --- |
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** |

| | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლი ფინასნსდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან, რის დასტურადაც წარმოდგენილი აქვს **,,ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის განკარგულება.** 4.7. ,,ფინანსური რესურსის“ კომპენენტთან მიმართებაში, სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს **2025 წლის 29 მაისის შესაბამისობის უზრუნვეყოფის გეგმა**, რომლის თანახმად კომპენენტის ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნილია - 24 თვე. იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულების დაფინანსების წყაროა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესაბამის პროექტს ყოველწლიურად ამტკიცებს მუნიციპალიტეტი, დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მიზნით მიმართოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს. მათ მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში დაწესებულებას ექნება რესურსი დააკმაყოფილოს ინდიკატორის მოთხოვნა.

**აღნიშნულიდან გამოდმინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა განახორციელოს ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გაწერილი - სტანტარტის 4.7 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

4.7. ,,ფინანსური რესურსის“ კომპენენტთან მიმართებაში, სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 29 მაისის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად კომპენენტის ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნილია - 24 თვე. იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულების დაფინანსების წყაროა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესაბამის პროექტს ყოველწლიურად ამტკიცებს მუნიციპალიტეტი, დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მიზნით მიმართოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს. მათ მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის მიზნებისთვის გამოყოფილი რესურსი, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა განახორციელოს ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გაწერილი - სტანტარტის 4.7 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

### რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის ფინანსური რესურსების მართვის სისტემის დამადასტურებლად წარმოდგენილი აქვს 2026-2029 წლის ბიუჯეტის პროექტი, პროგრამული ბიუჯეტი (პროგრამული კოდი: 04.01) და შესყიდვების გეგმა. აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ ხდება ბიუჯეტის დაგეგმვა და განკარგვა. 4.7. ,,ფინანსური რესურსის“ კომპენენტთან მიმართებაში, სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 29 მაისის შესაბამისობის უზრუნვეყოფის გეგმა, რომლის თანახმად კომპენენტის ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნილია - 24 თვე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა განახორციელოს ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გაწერილი - სტანტარტის 4.7 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ ფინანსური რესურსების მართვის სისტემა უნდა ეფუძვნებოდეს ხარიხსის ციკლს და მოიცავდეს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვას, განკარგვას და მონიტორინგის მექანიზებს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს. შესაბამისად შეუძლებელია ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს დაწესებულების დაგეგმილ ბიუჯეტზე. ამიტომ ბიუჯეტში ცვლილებების განხორცილება თანმდევი პროცესია. სასურველია, წინასწარ იყოს შემუშავებული ბიუჯეტში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურები, დადგინდეს ბიუჯეტში ცვლილების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირების ვინაობა, ცვლილების ვადები და სხვა.
უმნიშვნელოვანესია პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე ან პროფიციტზე). საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ უნდა იყო გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები, თუმცა სასურველია მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი ინტენსიურად მიმდინარეობდეს.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ 2025 წლის პროგრამისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის განკარგულება.
2. 2025 წლის 29 მაისის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
3. 2026-2029 წლის ბიუჯეტის პროექტი.
4. პროგრამული ბიუჯეტი (პროგრამული კოდი: 04.01)
5. შესყიდვების გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| **დანართის N** | **2. სხვა დანართის დასახელება** |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

თარიღი: 27/10/2025

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე | | |

*ხარისხის ექსპერტი* ქეთევან ებრალიძე

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

*კურიკულუმის ექსპერტი:* სოფიო ჭუმბურიძე

*კვების დარგში ექსპერტი:* ანი თეგეთაშვილი

*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* ნანა ბურჯანაძე

დანართი №1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი | ბრძანება: N MES 3 25 0000754258 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 2025 წლის 28-29 ივლისი |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2.შენობა-ნაგებობის სქემა<br>3.2024 წლის 15 ნოემბრის N ბ25.6224320001 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ნაბაკევის ბაგა-ბაღის საინვენტარო აღწერის დოკუმენტი.<br>4.2025 წლის 14 აპრილის ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ 25.62251043 ბრძანებით დამტკიცებულია „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია".<br>5. ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების მატერიალური რესურსის შესწავლა. |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება რომ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებას" ს/ნ 238772949, 2022 წლის 21 თებერვლის უზუფრუქტის ხელშეკრულებით მესაკუთრისგან სარგებლობის უფლებით, 10 წლის ვადით გადაცემული აქვს 2430 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობა N1(მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N34.03.53.241),მისამართზე: სამტრედია,სოფ.ნაბაკევი.<br>დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა.<br>დაწესებულებას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ)დაწესებულების არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. | დაწესებულებამ წარმოადგინოს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ)<br><br>დაწესებულებამ წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში დაწესებულება უზრუნველყოფს:,,დაწესებულება უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:,,სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება გონივრულ ვადაში წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას შენობა ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ აკრეტიდებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და მიმართვას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ".<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება და ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ სართულზე | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია სავალდებულო სივრცეები:საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე;გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად; სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის; სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის; ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის); დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი;კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე; კვების ბლოკი,დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.<br>დაწესებულებაში არ არის სამეურნეო ზონა.<br>ასევე დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ შენობაზე (ძველი საპირფარეშო, რომელიც არ ფუნქციონირებს) გამოყენებულია აზბესტის შემცველი მასალა. | დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეურნეო ზონის მოწყობა.<br>დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მის ტერიტორიაზე არ იყოს გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:„დაწესებულება უზრუნველყოფს სამეურნეო ზონის მოწყობას.დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მის ტერიტორიაზე არ იყოს გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | | | | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის, გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინისა. დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით ტუალეტის კაბინის კარი არ იკეტება | დაწესებულება უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:<br>1. დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) (WASH ინდიკატორი)<br>2. დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში დაწესებულება უზრუნველყოფს:„დაწესებულება უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:„დაწესებულება უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება: 1. დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) (WASH ინდიკატორი)2. დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით“.<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.ა. |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ეზო, რომლის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. დაწესებულებას ეზო შემოფარგლულია 1.35 მ სიმაღლის ღობით, რაც არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. | დაწესებულებამ დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნა: ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:,,ნაბაკევის ბაღის ეზოს ღობეს სიგრძეს მივიყვანთ სტანდარტულ ზომამდე". აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას გააჩნია ცხრილში ,,შეესაბამება" გრაფაში აღნიშნული აღჭურვილობა:მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი; სასრიალო; საქანელასკამები/დასაჯდომი და მაგიდა და სხვა შესაბამისობის გრაფაში მონიშნული. თუმცა რამდენიმე სავალდებულო აღჭურვილობა არ არის განთავსებული გარე სივრცეში (რომელიც აღნიშნულია ,,არ შეესაბამება"-ს ველში) ესენია:საქვიშე,სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის,სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის,სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის. | დაწესებულებამ უზრუნველყოს შემდეგი აღჭურვილობის განთავსება გარე სივრცეში:საქვიშე,სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის,სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის,სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:,,ვუზრუნველყოფთ შემდეგი აღჭურვილობის განთავსებასგარე სივრცეში:საქვიშე,სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის,სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის,სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის". აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება არ აკმაყოფილებს ფანჯრის უსაფრთხოების მოთხოვნებს | დაწესებულებამ უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნის დაკმაყოფილება: ,,დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა". | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:,,დაწესებულება უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნის დაკმაყოფილებას: ,,დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგზე. იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა". აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად. მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება აკმაყოფილებს კიბის უსაფრთხოების მოთხოვნებს | | | |
| თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებაში კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება არ შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს: ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი; კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე.<br>ხოლო ინდიკატორის შემდეგ მოთხოვნებს შეესაბამება: ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის.შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას. | დაწესებულებამ უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:<br>1.დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი;<br>2.კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:,,დაწესებულება უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას:1.დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი;2.კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირებას განთავსებული სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე".<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.<br>აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება აკმაყოფილებს ინვენტარის უსაფრთხოების მოთხოვნებს. ასევე, ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში გათვალისწინებულ ბავშვთა რაოდენობას, რაც დასტურდება როგორც ადგილზე დათვალიერებით, ასევე **2024 წლის 15 ნოემბრის N ბ25.6224320001 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ნაბაკევის ბაგა-ბაღის საინვენტარო აღწერის დოკუმენტით.** | | | |
| ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში 3- დან 5 წლამდე, 5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების ზომები შეესაბამება ცხრილის მოთხოვნებს. ხოლო 2-დან 3 წლამდე ბავშვებისთვის განკუთვნილი მაგიდის და სკამის ზომები არ არის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. | დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ 2-დან 3 წლამდე ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდის და სკამის ზომები იყოს შემდეგი: მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:,,დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სკამების ზომები სტანდარტს დაექვემდებაროს".<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.<br>აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისა. დაწესებულებაში არ არის ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი (სკანერის ფუნქციით).<br>დაწესებულებაში არ არის - ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებული საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ნაბაკევის ბაგა-ბაღის სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) აღჭურვა.<br>ასევე უზრუნველყოს, ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე, საფენების გამოსაცვლელი მაგიდის, სათავსი საფენებისათვის და სათლის განთავსება. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 24 თვის ვადაში:,,დაწესებულება უზრუნველყოფს ნაბაკევის ბაგა-ბაღის სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) აღჭურვას.ასევე უზრუნველყოფს, ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე, საფენების გამოსაცვლელი მაგიდის, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით".<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| | 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 2025 წლის 14 აპრილის ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაღები) გაერთიანების დირექტორის N ბ 25.62251043 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია". მეთოდოლოგიაში განსაზღვრული არ არის: ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი; ეზოს/გარე სივრცის ფართი; საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა და სხვა. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები. | დაწესებულებამ უზრუნველყოს - ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" იმგვარად დაკორექტირება, რომ დაადგენილი ჰქონდეს რესურსების ჩამონათვალი. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში:,,დაწესებულება უზრუნველყოფს - ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას ისე რომ ჯგუფური ოთახების რაოდენობა საერთო სივრცის ფართი,საბავშვი ზომის ხელსაბანების რაოდენობა და სხვა იყოს დოკუმენტებში გაწერილი".<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულების ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ გააჩნია თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობას შესაბამისი რესურსი, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებას მეთოდოლოგიით დადგენილი არ აქვს რესურსები, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის | დაწესებულებამ დაადგინოს ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით" რესურსების ჩამონათვალი და უზრუნველყოს მათი ფლობა | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ა(ა)იპ ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად 12 თვის ვადაში:,,დაწესებულება დაადგენს ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით" რესურსების ჩამონათვალს და უზრუნველყოს მათ ფლობას".<br>აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისათვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისათვის.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე**

ხარისხის ექსპერტი: ქეთევან ებრალიძე

**თარიღი: 27/10/2025**

დანართი №2

## 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი | ბრძანების N: MES 3 25 0000754258 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 29.07.2025 |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1. დანართი 1. N14 კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი მექანიზმი, მათ შორის ალერგიითა და კვებითი აუტანებლობით დაავადებული ბავშვის კვების ტეგულირების მექანიზმი ბრძანება N25.62251432 თარიღი 23.05.2025<br>2. დანართი 1. N15 10 დღიანი/ 2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ, კერძების კართოტეკა. ბრძანება N25.62251044 თარიღი 14.04.2025<br>3. N 10გაერთიანების შინაგანაწესი<br>4.<br>5.<br>6.<br>7. |
| სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | 1. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კვებითი უზრუნველყოფის ფორმა - სტაციონარული მეთოდით, რაც კვებითი ორგანიზების დასაშვები მოდელია.<br>2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტი, სადაც განხილულია ბავშვის კვების პროცესთან დაკავშირებული საკითხები.<br>3. კვების უზრუნველყოფის მექანიზმში - დაწესებულებას აღწერილი აქვს ალერგიული რეაქციის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვთა კვება;<br>4. დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში აღწერილია საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების მეთოდები, ასევე, გადაცდენის რისკის მქონე პროდუქტების დამუშავების ტექნოლოგია. | | | |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
